



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის  
ღირებულების

ბ რ კ ა ნ ე ბ ა

22/01/2024



MIA 2 24 00184369

**"უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2022 წლის 8 აპრილის №929862 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მობრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. "უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2022 წლის 8 აპრილის №929862 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დ) ქვემო ქართლის რეგიონი:**

დ.ა) ქ. რუსთავი;

ჟ. შარტავას გამზირი - თამარ მეფის მოედანი - შარტავას მოედანი - რუსთაველის მოედანი - გმირთა მემორიალის მოედანი - მეგობრობის გამზირი - ი. ცურტაველის ქუჩა - თბილისის ქუჩა - მშენებელთა ქუჩა - მ. კოსტავას ქუჩა (ორმხრივად);

ი. ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად);

შ. რუსთაველის ქუჩა (ორმხრივად);

გ. ლეონიძის ქუჩა (ორმხრივად);

პ. თოდრიას ქუჩა (ორმხრივად);

ნ. გიორგაძის ქუჩა (ორმხრივად);

ნ. ლომოურის ქუჩა (ორმხრივად);  
ლ. მესხიშვილის ქუჩა (ორმხრივად);  
დ. აღმაშენებლის ქუჩა (ორმხრივად);  
შ. მოდებაძის ქუჩა (ორმხრივად);  
ტაშკენტის ქუჩა (ორმხრივად);  
სანაპიროს ქუჩა (ორმხრივად);  
დ. კლდიაშვილის ქუჩა (ორმხრივად);  
ზ. ფალიაშვილის ქუჩა (ორმხრივად);  
სუმგაითელ-მეტალურგთა ქუჩა (ორმხრივად);  
დონეცკელ-მეტალურგთა ქუჩა (ორმხრივად);  
ნ. ფიროსმანის ქუჩა (ორმხრივად);  
მე-19 მკრ.-ის ცენტრალური შესასვლელი (ორმხრივად);  
ა. ფანცულაიას ქუჩა (ორმხრივად);  
მე-16 მკრ.-ის და მე-17 მკრ.-ის გამყოფი ქუჩები (ორმხრივად).

დ.ბ) ქ. მარნეული:  
რუსთაველის ქუჩა (ორმხრივად);  
აღმაშენებლის ქუჩა (ორმხრივად).

დ.გ) საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 3.700 კმ. -დან - 28.800 კმ. -მდე (ორმხრივად);  
საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი გზის 35კმ. -დან 49კმ-ის ჩათვლით (ორმხრივად);  
საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 20კმ. -დან 35 კმ. -მდე (ორმხრივად).“.

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

საკატრულო პოლიციის  
დეპარტამენტის დირექტორი  
ვაჟა სირაძე



